საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

შაბათი, 18 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 46 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 46

„უნახავთ კი როდისმე ამ ვაჟ-ბატონებს რევოლიუცია? რევოლიუცია ყველაზე უფრო ავტორიტარული საგანია, როგორიც კი შესაძლებელია იყოს. რევოლიუცია არის აქტი, რომლითაც მცხოვრებთა ნაწილი თავის ნებას ახვევს თავზე მეორე ნაწილს თოფების, ხიშტების და ზარბაზნების შემწეობით... გამარჯვებული პარტია, უნდა არ უნდა, იძულებული ხდება განამტკიცოს თავისი ბატონობა იმ შიშის შემწეობით, რომელსაც იარაღი ბადებს რეაქციონერებში. პარიჟის კომუნა რომ შეიარაღებული ხალხის ავტორიტეტზე არ ყოფილიყო დამყარებული წინააღმდეგ ბურჟუაზიისა, განა ის ერთ დღეზე მეტს იცოცხლებდა? განა პირიქით ის არ უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენ კომუნას, რომ მან მალიან ნაკლებათ გამოიყენა ეს ავტორიტეტი? მაშასადამე: ანტიავტორიტარისტებმა ან თითონ არ იციან, რას ამბობენ,—ამ შემთხვევაში ისინი აზრთა არევ-დარევას უწყობენ ხელს,—ან იციან ეს და ამ შემთხვევაში ისინი ღალატობენ პროლეტარიატის საქმეს. ორივე შემთხვევაში ისინი მხოლოთ რეაქციას უწევენ სამსახურს“.

ფ. ენგელსი.

## ჩრდილოეთის დროშა.

დღეს, ვინც უნდა იყოს და სადაც უნდა იყოს, უეჭველათ ბოლშევიკებზე ფიქრობს, ლაპარაკობს და მოქმედებს ან მის სასარგებლოთ ან მის საზარალოთ. ამ საერთო კანონს ვერ გადურჩა ვერც ვანდერველდე, რომელიც საეჭვო ღირსების სოციალისტობით გამინისტრებულა, და ახლა ცდილობს ბოლშევიზმთან ბრძოლით აინაზღაუროს თავისი გონებრივი სიგლახაკე და ზნეობრივი გათახსირება. მან ევროპიდან საქართველოში გადმოიტანა ბოლშევიზმთან ბრძოლა და არ უწყის, რომ რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა ამ მხრივ, უკვე გააკეთეს მისმა დღევანდელმა მასპინძლებმა და ის მათ ამ საქმეში ველარასასწავლის.

მაგრამ ვანდერველდე უცხო კაცია და ინტერეს მოკლებული არ იქნებოდა მისი „ობექტივობა“, თუ ეს მან გარეგნულათ მაინც დაიცვა. მისდა საუბედუროთ იგი ამ თვისებას დიდი ხნიდან ყოფილა მოკლებული, რადგან მას უკვე 1917 წ. უგრძვნია რა ნათესაობა არსებობს ბელგიელსა და ქართველს შორის, ვანდერველდესა და ჩხეიძეს შორის. მას აქეთ დუღს და გადადის მასში ქართველის სიყვარული და მსგავსათ მახინჯი შვილის მშობელი დედისა, ის მოკლებულია უნარს დაინახოს თავისი საყვარელი არსების სიმახინჯე.

ის კაი ქეიფზე დაუყენებია ბათომში მოფრიალე წითელ დროშებს, ხოლო მისთვის მწარეთ უჩხვლეტია იმ უსიამოვნო მოგონებას, რომ მართლა წითელი და მართლა რევოლიუციონური დროშა დიდი ხანია ამაყათ ფრიალებს საბჭოთა რუსეთში და მის ჩამოგდება-დამხობას ამაოთ ცდილობენ მთელი ქვეყნის შავბნელი ძალები და მათ შორის ბ. ვანდერველდეც, რომელმაც მთელი თავისი ავკაცობა, ძალა და ენერგია სწორეთ ამ მოღალატურ საქმეს მოახმარა.

ის აქებს საქართველოს „საპრაზნიკო“ წითელ დროშებს და ტალახში სვრის „ჩრდილოეთის დროშას“, რომელსაც თავხედი უტიფრობით მონობის დროშას უწოდებს. მონობის დროშა! ვანდერველდეებმა პირი უნდა გამოირეცხონ ამ დროშის ხსენებაზე და მაინც ვერ უნდა გაბედონ მისი ხსენება, მათ რომ მთელი თავისი პატიოსნება გაცვლილი არ ქონდეთ კაროლ ალბერტის ლაქიობაზე. მაგრამ ცოტაოდენი მსჯელობის უნარი საკმარისია იმის გასაგებათ, რომ საქართველოს წითელი დროშა სავსებით დამოკიდებულია ჩრდილოეთის დროშაზე და რომ ის იქ არა ფრიალებდეს, აქ „საპრაზნიკოთაც“ გაძირდებოდა მისი საჯაროთ გამოტანა.

დიახ, ეს ასეა. საქართველოს დემოკრატია, რომლის წითელ დროშებს ასე გატაცებით ეარშიყება ბ. ვანდერველდე, თავის დღეში ვერ შესძლებდა მოეგერებინა მის საზღვარზე მოთამაშე შავი გენერლები—დენიკინი, ალექსეევი, კალედინი, კარნილოვი, კრასნოვი, ლუკომსკი და ვანდერველდეების ლოცვაკურთხევით აქ შემოსული ევროპის იმპერიალისტები; ვერ შესძლებდა, რომ ყველა ამათ წინააღმდეგ უდიდესი ბრძოლა არ ეწარმოებია საბჭოთა რუსეთს, რომ მას ცოტა ხნით მაინც ძირს დაეშვა „ჩრდილოეთის დროშა“.

ბ. ვანდერველდე განათლებული ევროპიდან ჩამორჩენილ ქვეყნებშია მოსული და ნაცვლათ მეცნიერულ-კულკულტურული ღონისძიებისა, კონტრრევოლიუციონური თავდებობით ცდილობს თავბრუ დაგვახვიოს. ჩვენ, ამ ჩამორჩენილი ქვეყნის რევოლიუციონერები, იძულებული ვართ მის კონტრ-რევოლიუციონურ უმაღლესობას მცირედი სამაგიერო მივუძღვნათ და მის ენაწყლიანობაზე შემდეგი მოვახსენოთ.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ—„განათლებულ“ ვანდერველდეს მეფე ნიკოლოზის ძველი რუსეთი ერჩივნა დღევანდელ რუსეთს და, თუ გნებავთ, დღევანდელ საქართველოსაც. ის მშვენივრათ ეწყობოდა ძველი რუსეთის ბარბაროსობას და ცდილობდა მისი ტლანქი ძალა სავსებით გამოეყენებინა ევროპის პროლეტარიატის ამოსაქლეტათ. ეს ერთი. დღეს, როდესაც ბ. ვანდერველდე ყალბ აღფრთოვანებას განიცდის წითელი დროშის ხილვის გამო, ჩვენ მას მოვაგონებთ რუსეთის მეიგავე კრილოვის ცნობილ არაკს, რომელიც ამ შემთხვევისთვის პირდაპირ სახელდახელოა. ღორი გამოძღა რკოთი და შემდეგ დაუწყო თხრა მუხის ძირებს. როდესაც მას უთხრეს, რომ მისი ასეთი საქციელი მუხას გაახმობსო, მან უპასუხა, რას დავეძებ მე მუხას, მხოლოთ რკო ნუ გამომელევაო, вѣдь я отъ нихъ жирѣю. ღორმა რა იცის რომ რკო სწორეთ მუხას ასხია, მარა წითელი დროშის მოტრფიალემ კი უეჭველათ უნდა იცოდეს, რომ თუ სადმე ფრიალებს დღეს წითელი დროშა, გინდ როგორც ბრძოლის ემბლემა, გინდ როგორც ხალხის მოსატყუებელი საშუალება,—ყველა ეს „ჩრდილოეთის დროშის“ ბრალია, რომელთან ბრძოლაში ვანდერველდის სათაყვანებელი ქვეყნის მყლაპავები ათასგვარ დათმობაზე მიდიან. ამ ხანად ეს იკმაროს „ჩრდილოეთის დროშის“ საგინებლათ საქართველოში მოსულმა ვანდერველდემ.

## ადგილობრივი პრესა.

მკითხველს ეხსომება, რომ ჩვენსა და გაზ. „ერთობას“ შუა კამათი იყო ატეხილი ინტერნაციონალის შესახებ. ვერ იქნა და ვერ ვეღირსეთ ამ გაზეთიდან გარკვეულ პასუხს, თუ რომელ ინტერნაციონალს, რომელ მის მიმდინარეობას ემხრობოდა იგი. ამ კამათს თან გადაყვა ერთი ჩვენი თანამშრომელი, რომელსაც სოციალისტური საქართველოს დემოკრატიულ ციხეში ამოაყოფინეს თავი. ახლა, როდესაც მეორე ყვითელი ინტერნაციონალი დედაბუდიანათ აქ ჩამოსახლდა, „ერთობამ“ მიატოვა ყოველი ყოყმანი და ფეხ-ქვეშ ეგება, გულში ეკვრის და თავსევლება ევროპიდან კუდ-ამოძუებულ მეორე ინტერნაციონალის ნამსხვრევებს. ის სწერს:

„გუშინწინ შეხვდენ ერთმანეთს ჩვენი მუშათა კლასი და ევროპის მუშათა წარმომადგენელნი. გუშინწინ გადაიშალა გული მუშათა ინტერნაციონალური სოლიდარობის.

„ჩვენი არ ვიცით ერთმანეთის ენა, მაგრამ ჩვენ გვესმის ერთმანეთის ნალაპარაკევი. გვესმის აზრი და მისწრაფება“—სთქვა ნოე ჟორდანიამ მუშათა პარლამენტის სხდომაზე და ეს სიტყვები დამახასიათებელი იყო მთელი ამ დღეობის“.

ჩვენ გვგონია, რომ ეს სიტყვები კი არ იყო დამახასიათებელი მთელი ამ დღის და მთელი ამ კომედიანტობის. დამახასიათებელი იყო ის, როდესაც ჟორდანიამ, რაკი გული აჯერებინა ლაპარაკით ყველა მსურველთ, მიმართა კრებას კითხვით—ბოლშევიკებიდან ხომ არავინ არის სიტყვის მოსურნეო. თითქო არ იცოდენ, სადა გყავთ ბოლშევიკები გამწყვდეული, ან რომ აღმოჩენილიყო თქვენს დიდი ხნით მიცვალებულ „პარლამენტში“ რომელიმე ბოლშევიკი, თითქო თქვენ იმას მისცემდით სიტყვის თავისუფლებას და თან უზრუნველყოფდით მას მინისტრ რამიშვილის მთავარანგლოზებისაგან! სურათის სისრულისთვის სრულიათ საკმარისი იყვნენ თქვენი ძველი და ახალი მტერ-მეგობრები: დაშნაკელ-სოციალდემოკრატ—ესერ-ფედერალისტები, ხოლო ბოლშევიკების გამოსვლას თქვენი სტუმრებიც არ მოგიწონებდენ. მაშ რა საჭირო იყო ეს მუზმუზელაობა?!

გაზეთი ასეთი ეშხით ათავებს თავის გრძნობა მორეულ წერილს:

„ჩვენ ღრმა რწმენა გვაქვს, რომ მრავალ შეცდომათა მიუხედავათ, საერთო გზა ჩვენი სწორია, სოციალისტურია, მომავალ ბედნიერებისაკენ მიმავალია. და გვრწამს, ჩვენი მეგობრებიც, რომელნიც დასავლეთ ევროპიდან გვესტუმრენ, ასეთივე აზრს შეადგენენ ჩვენზე ჩვენი ქვეყნის დეტალურათ გაცნობით“.

უეჭველათ, უეჭველათ! მაშ ამდენმა ხარჯმა მუქთათ ხომ არ უნდა ჩაიაროს.

* * *

„ერთობის“ მესაიდუმლე ბ. განი იმასაც კი ფიქრობს, რომ გუშინდელი დღე სოციალიზმის მოახლოების თავდებია:

„დღეს დაკრავს საათი, საათი განთიადისა და ამოგორებული მზე განთავისუფლებული შრომისა გაანათებს ქვეყანას ბნელსა და უკუღმართსა. ამის თავდებია ყოველივე ის, რაც მოხდა გუშინ, ამის თავდებია ის იდეა, რომლის შარავანდედმა შემოსა გუშინ მუშათა უბნები და რომლის გვირგვინს ქვეშ დაამწკრივა ჩვენი და ევროპის მუშათა კლასი“..

მოდი და ნუ დაიჯერებთ, რომ ბანკეტები და რეჩების კორიანტელი სოციალიზმს აახლოებენ.

## ამხანაგებო მუშებო! *)

ჩვენთან მოდიან ძვირფასი სტუმრები! ასე ლაპარაკობენ ჩვენი მენშევიკები.

და მართლაც! ნუ თუ მუშათა ინტერნაციონალის ხელმძღვანელები არ არიან ძვირფასი სტუმრები ყოველი პროლეტარისათვის, ყოველი გაჭირვებულისათვის. ჩვენთან ხომ მოდიან მუშათა ინტერნაციონალის მამათავრები, თუ რასაკვირველია ჩვენ დაუჯერებთ ჩვენს მენშევიკებს. მენშევიკები უკვე მოემზადენ ძვირფასი სტუმრების სადღესასწაულო შეხვედრათ და ჩვენც გვეპატიჟებიან შევხვდეთ მათ გაშლილი ხელებით.

და მართლაც ვინ მოდიან ჩვენთან? რომელ მუშათა ინტერნაციონალზე გველაპარაკებიან ჩვენ მენშევიკები?

ჩვენთან მოდიან მამამთავრები ეგრედწოდებულ მეორე ინტერნაციონალისა, უფრო სწორად,—საცოდავი ნარჩენები ამ ინტერნაციონალისა, რომელიც მსოფლიო ომის დასაწყისშივე გაიბნა. ის მამამთავრები, რომელთაც, დაივიწყეს რა თავისი პროლეტარული ვალდებულება, ოთხი წლის განმავლობაში პირდაპირი, თუ არაპირდაპირი დახმარებით მხარს უჭერდნენ თავისი ავტორიტეტით ყველაზე უფრო საშინელს და მხეცურ ადამიანთა სასაკლაოს, რომელიც გამოწვეული იყო ეგრედ-წოდებულ „კულტურულ“ ქვეყნების ყაჩაღ მთავრობების მიერ. ჩვენთან მოდიან ის ვაჟბატონები, რომლებმაც იმის მაგივრათ, რომ მტკიცეთ დაეცვათ ბაზელის მე-2-რე ინტერნაციონალის (1912 წ.) გადაწყვეტილება, მოეწოდებინათ მუშათი კლასი თავისი მთავრობების საბრძოლველათ, მოუწოდებდნენ ამავე მთავრობების დასახმარებლათ ერთი მეორეზე ყაჩალურ დაცემისათვის.

ჩვენთან მოდიან ადამიანები, რომელთა სვინდისს ამძიმებს მრავალ მილიონ ადამიანის დასახიჩრების, ომში დახოცვის და ავადმყოფთ დალუპვის ცოდვა და აგრეთვე შიმშილ წყურვილის გამოწვევისა და უბედურებისა მთელი ქვეყნის პროლეტარებსა და გლეხებს შორის.

და მართლაც ესენი არ არიან ძვირფასი სტუმრები?!

შესაძლებელია არ მივიღოთ მონაწილეობა ამ ძვირფასი სტუმრების შესაფერის დახვედრაში—ძლიერ ძვირფას მუშათა კლასისათვის? მაგრამ იმ სისხლის ოკეანეების გარდა კიდევ მეტი უღირს მუშათა კლასს მე-2-რე ინტერნაციონალის ხელმძღვანელები; მათ მიუძღვით კიდევ მრავალი „სამსახური“. ეს ისინი არიან, რომელთაც თეთრგვარდიელთა დახმარებით ჩააქვრეს მუშუთა აჯანყება გერმანიაში. მათ მოკლეს გერმანიის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები: კ. ლიბკნეხტი, რ. ლიუქსენბურგი, ტიშკო, ლევინე და მრავალი სხვები. მათ ჩაახრჩვეს საბჭოთა მართველობა ბავარიაში. მათ ჩაუგდეს უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა რუმინეთის და უნგრეთის თეთრ ჯალათებს ხელში.

მაგრამ საკმარისია. არ შეიძლება ყველა იმ დანაშაულობის ჩამოთვლა, რომელიც მიუძღვით ამ მუშათა კლასის მოღალატეებს თავისი მემამულეების, ბანკირების, ფაბრიკანტების და სპეკულიანტების გასახარებლათ.

მაგრამ შეიძლება ამხანაგებო თქვენთვის არ არის საკმარისი ეს საერთო დახასიათება ჩვენი მენშევიკების „ძვირფასი სტუმრებისა.“

აი—რენოდელი, საფრანგეთის იმპერიალისტური ყაჩაღების ერთი უდიდეს პატრიოტთაგანი, აი—კაუცკი, გაძევებული თვით მის მიერვე; შექმნილ „დამოუკიდებელ სოციალისტთა“ პარტიის მიერ, და ნაქები თავისი უკანასკნელ „მეცნიერული“ მუშაობით ვრანგელის სასახლის ჟურნალისტებისაგან.

აი—ტომსს შოუ და მისს სნოუდენი—პოლიტიკური მეგობრები ლოიდ-ჯორჯისა.

აი უკანასკნელათ ვანდერველდე, მინისტრი მისი უდიდებულესობის ბელგიის კაროლისა. მცირე, მაგრამ ფრიად საინტერესო კომპანიაა! აკლია მხოლოდ შეიდემან-ნოსკე ეს საზიზღარი მკვლელები კ. ლიბკნეხტისა და რ. ლიუქსენბურგისა.

მაგრამ შეიძლება მათ მიჰყვება ევროპის მასსა?

შეიძლება, მიუხედავათ ყველა თავის „შეცდომებისა“ ისინი წარმოადგენენ საერთაშორისო პროლეტარიატის კანონიერ წარმომადგენლებს? ყოველ შემთხვევაში ასე ამტკიცებენ ჩვენი მენშევიკები. მათდა სავალალოდ საქმე აქაც არ არის მათთვის სასურველად. წინანდელი ძლიერი მეორე ინტერნაციონალისაგან დარჩა მხოლოდ მისი საცოდავი „ნაპჩხვენები“. ამ „ინტერნაციონალის“ უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც მოხდა ერთი თვის წინათ, წარმოდგენილი იყვნენ მხოლოდ ზოგიერთ სახელმწიფოთა მცირე ორგანიზაციები ინგლისის ოპორტიუნისტები და... შეიდემანები.

არც საფრანგეთის სოციალისტური პარტია, არც გერმანიის „დამოუკიდებელნი“ და არც სხვა მსხვილ სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლები არ იყვნენ ამ ყრილობაზე.

რუსეთის მენშევიკებიც არ იყვნენ იქ. ამ უფროსმა ძმებმა საქართველოს მენშევიკებისამ სასირცხოთ მიიჩნია კ. ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის ჯალათებთან დაჯდომა.

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა მეორე ყრილობა. კონგრესი ჭეშმარიტი ინტერნაციონალისა—მემკვიდრე მარქს-ენგელსის რევოლიუციონური მცნებისა—მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. აქ რუსეთის კომუნისტური პარტიის გარდა იყვნენ წარმომადგენლები ყოველი ქვეყნის კომუნისტურ პარტიათა და მათ ახლო მდგომ ჯგუფთა: ინგლისიდან, ირლანდიიდან, საფრანგეთიდან, ისპანიიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, უნგრეთიდან, ამერიკიდან, დანიიდან, გოლანდიიდან, შვეციიდან, ნორვეგიადან, პოლონეთიდან, ბოლგარეთიდან და ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებიდან, ფინეთიდან, საქართველოდან, შეერთებულ შტატებისაგან, ავსტრალიიდან და აღმოსავლეთ ქვეყნებიდან (ინდოეთ ჩინეთ-ოსმალეთ-სპარსეთიდგან და სხვადასხვა).

აი ნამდვილი საერთაშორისო შეერთება მუშათა კლასისა. აი ჭეშმარიტი მებრძოლი შტაბი საერთაშორისო რე-

*) ეს პროკლამაცია სოც. დელეგაციის ჩამოსვლის წინა დღით გამოსულია. რედაქცია

ვოლიუციონურ პროლეტარიატისა მსოფლიო კაპიტალის წინაამდეგ.

ესალმებიან რა „ძვირფას სტუმრებს“, როგორც მუშათა ინტერნაციონალის წარმომადგენლებს, ბატონი მენშევიკები სჩადიან სიყალბეს.

ომის დასაწყისშივე დაშლილ მეორე ინტერნაციონალის საცოდავ ნაწილებს ასაღებენ ნამდვილ ცოცხალ ინტერნაციონალათ. გაკოტრებულ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელნიც საბოლოვოთ გადადავიდენ ბურჟუაზიის მხარეზე ნათლავენ მუშათა კლასის მამამთავრებათ.

დეე ერთი ფეხით სამარეში მდგომმა მენშევიკებმა ეამბორონ ცოცხალმკვდარ ამხანაგებს.

დეე ყვითელი მასპინძლები შეხვდნენ თავიანთ ყვითელ სტუმრებს!

ჩვენ რევოლიუციონურ პროლეტარებს აქ საქმე არა გვაქვს, ისინი ჩვენი სტუმრები არ არიან. მთელი ჩვენი სიმპატია იქ არის, სადაც თავს იყრიან და ერთდებიან საერთაშორისო პროლეტარული არმიის რაზმები, რომლებიც მიდიან კაპიტალის სიმაგრეთა დასანგრევათ, რომლებსაც იცავენ ყვითელი ინტერნაციონალის ნარჩენები და ინტერნაციონალის სოციალ-გამცემლები.

ძირს ყვითლები! ძირს სოციალიზმის მოღალატენი!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

**ხაქარ. კომ. პარ. ბათუმის კომიტეტი.**

# მუშათა წერილები

**პასუხი ჩვენებური გლეხის შეკითხვაზე.**

ამას წინათ ძველი მეგობარი, სოფლელი გლეხი შემდეგს მწერდა: „შენც იცი ჩემი ამბავი, თუ როგორ მწამს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვება, თუ რა გულის ფანცქალით ველი იმ ნეტარ დროს, როცა რუსეთის ძლევა მოსილი რევოლიუციის ჩირაღდანი, აქ ნახევრათ ბნელ საქართველოში გაანათებს. აქაც, როგორც იქ, ყოველ დაწესებულებაზე იფრიალებს პროლეტარიატის წითელი დროშა და არა „დემოკრატიული“ სამფეროვანი, მაგრამ ერთი კი გატეხილი უნდა გითხრა მეგობარო, მერიდება, მაგრამ დამალული ჭირი ადამიანს აჭკნობს.. და მეც გადავწყვიტე გაგიტყდე და შეგეკითხო: რისთვისაა, რომ ყველა, ვინც კი ჩამოვიდა იმ წითელ რუსეთიდან ყველა ერთსა და იმავეს ამბობს, არის ის ყოფილი ბურჟუა, ან საშუალო ინტელიგენტი, თუ „მუშა“. ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს: „საბჭოთა რუსეთში ჯოჯოხეთია, იქ არავითარი წარმოება არ—არის ყველაფერი დააქციეს, სამაგიეროთ კი ვერაფერი შექმნესო“. რაშია—საქმე? რომელი გირწმუნო? ვის დაუჯერო? მე როგორც სოფლის გლეხი გაზეთს კვირაში ერთხელ თუ შევხვდები, ისიც მენშევიკურს, რომელშიაც რუსეთის გინების მეტს ვერაფერს ვხედავ. და ქე ვარ ასე ბურუსში გახვეული. ამას წინათ ჩვენ კუთხეში ვიღაც გაბრიელა ხუნდაძე იყო,—კონსულათ ნამყოფი ყოფილა რუსეთში,—მისმა ნაამბობმა სულ მთლათ საგონებელში ჩამაგდო და დამაფიქრა: ვაი თუ მართლა ვცდებოდე ქ სხვასაც ვაცდენდე, იქნება მართლაც მიუღებელია ჩვენთვის, საქართველოს გლეხებისთვის ის კანონები, ის საშუალებები რაც რუსეთში ხდება. იქნება მართალია ის ამბები, რასაც რუსეთიდან ჩამოსულები მოგვითხრობენ? აი, ამაზე ველი, მეგობარო, შენს პასუხს მალე. შენი მეგობარი ი. ს-ლი...

ბევრი არ დამიყოვნებია და ჩემს მეგობარ გლეხს მის შეკითხვაზე შემდეგი ვუპასუხე: შენ, როგორც იწერები, კომუნისტი თუ არა, მისი მიმდევარი მაინც ხარ და ეს გავალებს შენ იყო მტკიცე რწმენის, რკინის ნების შორს მჭვრეტელი გლეხი... ამიტომ ყოველ ნათქვამ ნაამბობს გამოცდილი თვალით უნდა შეხედო და უნდა გაზომო შენი საკუთარი ჭკუა გონებით...

მართალი არის ის, რომ მთელი სამი წელიწადი გადის, რაც დამჯდარი ფიქრი და საზრიანი მოქმედების დრო ჩვენთვის დახშული იყო და ახლაც არის. ჩვენ გლეხებს არ შეგვეძლო მშვიდობიანათ თავის მოყრა ჩვენს ჭირ-ვარამზე, ავ-კარგზე, გაცნობა საერთაშორისო დროისა და რევოლიუციის მსვლელობისა... საამისო საშვალების ნებას არ გვაძლევდენ რომ გამოსულიყვენ ჩვენი წინამძღოლები და აეხსნათ ჩაგრულ საქართველოს გლეხებისთვის, თუ რა ძლევა მოსილია იქ რუსეთში მუშათა კლასი. თუ რა მდევის ნაბიჯით მიაბიჯებს ის ფეხს მსოფლიო სამოთხისკენ, სოცალიზმისაკენ.. აეხსნათ ქ გაეფანტათ ის ბურუსი რომელსაც ქმნიდენ რუსეთიდან გამოძევებულ გადმოხვეწილი პირები ათას გვარ განზრახ შეთხზული ცნობებით. დიახ, ჩვენ ამის ნებას არ გვაძლევდენ... სამაგიეროთ ჩვენი წინამძღოლები ცხრა კლიტულში იყვენ (ნაწილი ეხლაც არის) გამომწყვდეული, რომლებიც სწორედ შენისთანა და ჩემისთანა გლეხებისთვის იტანჯებიან... საქართველოს მუშათა კლასი და მით უმეტეს გლეხობა მოკლებული იყო (და არის) გაეცნო სწორი ამბები რუსეთის რევოლიუციის მიმდინარეობისა, ეს ერთი. მეორე ის, რომ „საბჭოთა რუსეთში ყველაფერი დააქციესო“, ეს არ-არის მართალი და აი რატომ...

სამი წელიწადი გადის რაც რუსეთი ალყა შემორტყმულ ციხეს წარმოადგენს. რაც რუსეთი შეკრულია, მასში არ შესულა უცხოეთის საქონელი. მას ყველა ქვეყნის მყვლეფავებმა ლოიდ ჯორჯემა რკალი შემოარტყეს, ფიქრობდენ ეგებ მოვგუდოთ შიგო.. და არ ალევდენ არასფერს, მაგრამ რუსეთის რევოლიუციონერები იმდენათ მედგარნი გამოდგენ, რომ თვით მათ, კაცის მჭამელებს მოახრევიეს ქედი და ზავზე დაელაპარაკენ...

თუ სამი წელიწადია რაც არაფერი კეთდება რუსეთში, მაშ რით რჩება, რით იმოსება ეს ათეული მილიონიანი ხალხი ამდენხანს? იქ რომ არავითარი წარმოება არ იყოს. გაითვალისწინეთ ეს და და შენ თვითონ იტყვი, რომ უამისოთ ცხოვრება ერთ დღესაც არ შეეძლო რუსის ხალხს, დაინახავ, რომ თუ დაანგრიეს, რაც დასანგრევი იყო, სამაგიეროთ ახალი შექმნეს და შემდეგაც სულ უფრო და უფრო მეტათ განაგრძობენ შემოქმედება-წარმოებას.

სადაცაა რუსეთს დაუდგება ის დრო, როცა მის ცაზე სავსებით ამოიწურება შავი ღრუბლები და მაშინ რუსი რევოლიუციონერები ხანგრძლივ ბრძოლაში გამობრძმედილნი შეუდგებიან მშვიდობიან აღმშენებლობას პროლეტარიატის და გლეხობის ასაყვავებლათ.

**დაჩაგრული.**

### მ უ შ ე ბ ს

ამხანაგებო! როგორც იცით, საქართველოს კომუნისტური პარტია დღიდან თვისი ლეგალიზაციისა სცემს ქართულ ენაზე ყოველდღიურ გაზეთს „ახალი კომუნისტ“-ს. საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი გაზეთები გამოდის: „ერთობა“, „ბორბა“, „სლოვო“, „გრუზია“, „საქართველო“, „კლდე“. „სახალხო საქმე“, „ნორ-აშხატოვორი“, „სოფლის მუშა“ და სხვა; ყველა ეს გაზეთები ერთი-მეორისგან განსხვავდებიან მხოლოთ სათაურით და ფირმით, ხოლო ტონი, მოტივი და მანერა წერის აქვთ ერთი. ეს გაზეთები თითეული ცალ-ცაკე და ყველა ერთად ჩაჩისჩინებენ და უქადაგებენ დაბეჩავებულთ და ტყავ-გამძვრალთ მოთმინებას იმათ მიმართ, რომელნიც მათ სულს ხდიან და ლუკმა პურს გლეჯენ პირიდან.

აი, ამ მთელი წყება და ხროვა გაზეთებს შორის არის ერთი გაზეთი, რომელიც მოუხმობს, მოუწოდებს დაბეჩავებულთ და შევიწროვებულთ არა მოთმინებისაკენ და ყველაფერის ატანისაკენ, როგორც ამას შვრებიან დანარჩენი გაზეთები, არამედ შეუპოვარი, მედგარი, თავგანწირული და შეუბრალებელი ბრძოლისაკენ სპეკულიანტ და მუქთახორა ყაჩაღების წინაამდეგ, ეს გაზეთი არის ამხანაგებო,—„ახალი კომუნისტი“.

ამხანაბებო, „ახალი კომუნისტი“ ჩვენი, მუშების არის, მასში იწერება მუშების ჭირ-ვარამზე და იმ საშვალებებზე, რომლის საშვალებითაც შეიძლება მუშათა კლასის საბოლოოდ განთავისუფლება კაპიტალიზმის ბრჭყალებიდან.

ამიტომ მან, ე. ი. „ახალმა კომუნისტმა“ უნდა იარსებოს და ისულდგმულოს მხოლოდ და მარტო ჩვენი, მუშების საშვალებით და შემწეობით.

გაზეთ „ახალ კომუნისტს“ ჩვენ, მუშები გაუხდეთ საძირკველათ და ბიჯგებათ, რომ ის არ წაიხაროს და არ წაიქცეს ჩვენი დაუძინებელი მტრების სასიხარულოთ.

ამხანაგებო! მე თქვენ ჩამოგითვალეთ მთელი რიგი გაზეთების, რომელნიც პირდაპირ დაინტერესებულნი არიან ჩვენი გაზეთის „ახალი კომუნისტის“ განადგურებაში, მის წაქცევაში. ამხანაგებო! ნუ გავახარებთ ჩვენს შეურიგებელ მტრებს, მივიღოთ სასწრაფო ზომები, რომ ეს იმედები გაუცრუოთ მათ. გაზეთი „ახალი კონუნისტი“ ნება დართულია იმ ხელშეკრულების ძალით, რომელიც დაიდო საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის, ამიტომ ნურავის დაერიდებით მის წაკითხვაში და გავრცელებაში. ისწრაფეთ მისი გამოწერა, გამოაწერინეთ სხვებსაც. შეკარით ადგილობრივად ჯგუფები „ახალი კომუნისტის“ გასავრცელებლად. მიაწოდეთ წერილები ,,ახალ კომუნისტს“ მუშათა ცხოვრებიდან. შეაგროვეთ თქვენ შორის ,,ახალი კონუნისტის“ ფონდის გასაძლიერებლად ნივთიერი დახმარება. მე ამ მცირე მოწოდებით მივმართავ უმთავრესად კომუნისტურ პარტიის წევრებს: პარტიის წევრმა, მიუხედავათ ეროვნებისა, რომელსაც კი ესმის ქართული ენა, სავალდებულოდ უნდა გაიხადოს ,,ახალი კომუნისტის“ გამოწერა და მისი გავრცელება.

ისწრაფეთ ამხანაგებო, დრო არ ითმენს. მუშების საქმე თვით მუშებმა უნდა გავაკეთოთ. ნურავისი იმედი ნუ გვაქვს, გარდა ჩვენი თავისა.

**მუშა კოწია.**

**მუშათა ძალა ერთობაშია!**

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

# ინტერნაციონალის გარშემო

**კომუნისტური ინტერნაციონალის მ.-2 კონგრესი მოსკოვში.**

**მესამე სხდომა.**

**(24 ივლისს საღამოს)**

(დასასრული. იხ. „ახ. კომ.“ № 43)

**ამხ. ვან-ლევენი:** ამხანაგებო, ჩემთან ერთათ დელეგატათ გამოგზავნილმა ამხ. ვანკოპმა განაცხადა, რომის ჰოლანდიის პარტიის სახელით წინააღმდეგია დაშვებულ იქნან კომისიაში გერმანიის დამოუკიდებლები და საფრანგეთის სოციალისტები, ალბათ მას უფლება აქვს სთქვას ეს. მე ვამბობ: „ალბათ, უფლება აქვს“, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ფაქტი უნდა იქნეს დაწესებული საბოლაოთ, ვინაიდან ამგვარი საკითხი ჩვენს პარტიაში არ გარჩეულა. რა ვიცოდით წინდაწინ ჩვენ, რომ შეგვემთხვევოდა ასეთნაირი მოვლენა? მე რამდენიმე სულ სხვანაირათ ვუყურებ საგანს. მე ვფიქრობ, მაგალითად, რომ გერმანიის დამოუკიდებულ პარტიის დელეგატები მოვიდენ აქ პარტიის მემარცხენე ფრთის, ე. ი. მუშათა მასების იძულებით. მაგრამ მე ვეთანხმები ამხ. ვაინკოპს, რომ ეს დელეგატები არ უნდა იქნან დაშვებული აქ. ჩვენ შემთხვევა გვქონდა მიგვეცა ამ წარმომადგენლებისათვის აღმასრულებელ კომიტეტში კითხვების მთელი რიგი. ასე, მაგალითად, ამხ. რადეკმა მისცა მათ 9 კითხვა, დანარჩენებმაც არა ნაკლები და, დაბოლოს, აგრეთვე მეც მივეცი მათ რამდენიმე კითხვა, რომელიც შეეხებოდა ამხ. ლენინის თეზისებს სრული გაერთიანების პირობების შესახებ და მე ძალიან მაკვირვებს ის გარემოება, რომ სურთ დაუშვან ეს ადამიანები აქ ახლავე, როდესაც მიღებულ არ გვაქვს ჯერ კიდევ მათგან პასუხი ამ კითხვებზე და არ ვიცით, მაშასადამე, თუ რა უდევს სარჩულათ მათი აქ მოსვლას. თუ ამხ. რადეკი ამბობს, რომ ამხ. ვანკოპის წინადადება ეწინააღმდეგება საღ ადამიანურ ლოღიკას, მე ვსვამ საკითხს: ლოღიკური იქნება თუ არა ამ ადამიანების დაშვება აქ, სანამ პასუხი არ მიგვიღია მათგან ჩვენ მიერ წამოყენებულ კითხვებზე?

**ამხ. ჰილბო** იმ აზრისაა, რომ შეუძლებელია დაშვება კონგრესზე მონაწილეობის მისაღებათ გერმანიის დამოუკიდებელ და საფრანგეთის სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლების, ვინაიდან არც ერთ მათგანს არ წარმოუდგენია თავისი განცხადება მე-3 ინტერნაციონალში შემოსვლის შესახებ. საფრანგეთის პარტიის წარმომადგენლები უკვე საკმარისათ დიდი ხანია არიან მოსკოვში და ქონდათ შეძლება ეპასუხათ წამოყენებულ კითხვებზე, მით უფრო, რომ საფრანგეთის პარტიას დრო ქონებია გამოეგზავნა მოსკოვში აუარებელი წერილები და დეპეშები, რომლებსაც მხოლოდ არევ-დარევა შემოაქვს და ხელს გვიშლის მუშაობაში. ორატორი წინადადებას იძლევა არავითარ შემთხვევაში არ იქნენ დაშვებულნი ჩვენთან ერთად სამუშაოთ საფრანგეთის პარტიის წარმომადგენლები.

**ამხ. რადეკი:** ამხანაგებო, თუ კი მსხვილი პარტიის დელეგატებს სათათბირო ხმის უფლება ეძლევათ, მაშინ ამაზე ზედმეტია დავა, იმ პირობით, რასაკვირველია, თუ კი ჩვენ გვესმის რაში მდგომარეობს ეს უფლება, მაგრამ მე ნებას მივცემ ჩემ თავს ერთხელ კიდევ დავუბრუნდე ამ საკითხს, ვინაიდან ორმა ამხანაგმა ჰოლანდიის პარტიიდან და ამხ. ჰილბომ გადმოგვილაგეს „ღრმა“ მიზეზები, თუ რატომ უნდა მდგომარეობდეს სათათბირო ხმის უფლება არსებითად სრულ უხმობაში.

ამხ. ვან-ლევენმა სთქვა, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა წაუყენა გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის დელეგატებს კითხვების მთელი რიგი, რომელზედაც მათ აქამდის არ უპასუხებიათ. როგორც მდივანი აღმასრულებელ კომიტეტისა, მე ვალდებული ვარ განვაცხადო, რომ იმათ არ შეეძლოთ ეპასუხნათ ამ კითხვებზე, ვინაიდან, ჯერ ერთი, აქამდის არ შემდგარა შემდეგი სხდომა, მეორეთ, იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ ვთხოვეთ დაეცადათ, რათა გამორკვეულიყვნენ უპირველეს ყოვლისა კონგრესის საერთო პრობლემებში. მაგრამ კითხვების წაყენებასთან ერთად უნდა ვიცოდეთ, რომ საჭიროა დაუცადოთ პასუხებსაც. ამხ. ვან-ლევენს დიდებული შემთხვევა ექნება ჩაიხედოს გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის სულის საიდუმლოებაში სწორეთ მაშინ, როდესაც მას დაუშვებენ მონაწილეობის მისაღებათ კომისიებში, სადაც მე-III ინტერნაციონალში შესვლის პირობების გარჩევა იქნება. ჩვენ თვითონ აღვძარით ბრალდებათა მთელი რიგი გერმანიის დამოუკიდებელი პარტიის (U. S. P.) წინააღმდეგ და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არა ნაკლები დამსახურება მიგვიძღვის ინტერნაციონალის წინაშე, ვიდრე ამხანაგებ. ვან-ლევენს და ვანკოპს ერთად. მაგრამ თუ კი გერმანიის დამოუკიდებელი პარტიის წარმომადგენლები ამ ბრალდებათა ნაწილს ფაქტიურათ არა სამართლიანათ თვლიან, ჩვენ ვალდებული ვართ დაასაბუთონ და დაამტკიცონ თავიანთი თვალთსაზრისი. რაც შეეხება საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას, ხომ იყო უკვე ნათქვამი, რომ ორივე პარტიას ჯერ კიდევ არ შემოუტანიათ განცხადება ინტერნაციონალში შემოსვლის შესახებ. ხოლო თუ კი ეს ასეა, რატომ მაინც მივეცით ჩვენ მათ სათათბირო ხმის უფლება და რატომ ვაწარმოებთ მათთან მოლაპარაკებას? პირადათ მე მგონია, რომ ეს კამათი ვერ მიგვიყვანს ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში კითხვების გამორკვევამდე; პირიქით, ეს მხოლოდ იმ რადიკალიზმის სიტყვების მწარე მაჩვენებელია, რომელიც არ ეყრდნობა რევოლიუციონურ ნებას საქმიანობაში.

**ამხ. დეიმიგი:** მე არ გავარჩევ არსებითად საკითხს, რომელზედაც ლაპარაკია ამ ჟამათ კონგრესზე. დეე, თვით კონგრესმა გადასჭრას საკითხი ჩვენი პარტიის მიღების შესახებ, როგორც ის დაინახავს სწორათ. მე ვერ ვხედავ აგრეთვე ვეთავითარ საფუძველს იმისთვის, რომ გავარჩიო ამხ. ვანკოპის მტკიცება, რომელმაც გამოაშკარავა მისი სრული უცოდინარობა საქმის გარემოებების. მაგრამ, როგორც ძველ პოლიტიკურ მოღვაწეს, მას უნდა ცოდნოდა, რომ გერმანიის დამოუკიდებელი პარტია სრულიადაც არარის მმართველი პარტია, და, რომ ის, პირიქით, მთავრობას ებრძვის. მე მეტის მეტად პირდაპირ და აშკარათ პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენ პარტიას არა რევოლიუციონურს უწოდებენ, ჩვენმა პარტიამ გაიღო ათასობით მსხვერპლი. ათასობით დახოცილები და დაჭრილები; ჩვენი ამხანაგები ათასობით ლპებიან ციხეებში და პასუხისგებაში არიან მიცემული. მე არ შემიძლია დავუშვა, რომ ჩვენ პარტი[...] აცხადებდენ აქ არა-რევოლიუციონურა[...] თვით კითხვის არსებით მხარეზე, ყვე[...] დანარჩენებზე ჩვენ მოვილაპარაკებთ მა[...] შინ, როდესაც დაიწყება კითხვის გარჩე[...] ვა კომისიაში.

**ამხ. ვანკოპი:** ამხანაგებო! მე სასირ[...] ცხოთ მიმაჩნია უკვე ის ფაქტი, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც არის დეიმიგი, ცდილობენ გამოიყენონ ამ კონგრესზე თავიანთი დემაგოგიური ხრიკები. მე ჩემს მოვალეობათ ვთვლი განვაცხადო, რომ, რამდანათაც მე ვიცი, თვით ეს დეიმიგი ჯერ კიდევ კაპის ამბოხების დროს ეუბნებოდა მუშებს, რომ ისინი არ უნდა შეირაღდენ. და აი ახლა ის გამოდის აქ, რუსეთში, სადაც თითოეულმა იცის, რომ გამარჯვების მიღწევა შეიძლება მხოლოდ სამოქალაქო ომით. ამხანაგებს ალბათ არ აქვთ წარმოდგენილი თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის დასავლეთ ევროპაში მომუშავეთათვის იმას, რომ ისეთ ადამიანებს, როგორიცაა დეიმიგი და ისეთ პოლიტიკურ მოღვაწეებს, როგორიცაა კაშენი, ნამდვილი კომუნისტური და რევოლიუციონური პარტიების წარმომადგენლების ტოლ[...] არიან—მე-3 ინტერნაციონალში. მე გა[...] ფრთხილებთ თქვენ, ამხანაგებო, ამის შედეგებისაგან.

**ამხ. ზინოვიევი.** ამხანაგებო, ის, რომ ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის მემარჯვენე ფრთის მერყეობისა და ქანაობი[...] წინააღმდეგ, ხელახლა მე აქ ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. მაგრამ ის, რასაც აქ ამხ. ვანკოპი ლაპარაკობდ[...] პირდაპირ სასაცილოა, მისი სიტყვებ[...] სახელს უტეხს არა ჩვენს კონგრესს, არამედ თვითონ ვანკოპს და იმ პარტიას, რომლებმაც გამოაგზავნა ის აქ. ეჭვ[...] გარეშეა, რომ ჩვენ ულრმეს პატივ[...] ვცემთ და კიდევაც უნდა ვსცეთ გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის იმ 10 თუ 11 ათას წევრს, რომლებიც ციხეებში ლპებიან. ისინი არიან მებრძოლები, პროლეტარები, რომლებიც სოციალიზმის საქმისთვის იბრძვიან. მე არ ვიცი, თუ რამდენი წევრები სხედან ახლა ციხეში ვანკოპის პარტიიდან, თუ რამდენჯერ იყო პირადათ თვით ვანკოპი სამართალში მიცემული და რამდენ ხანს იჯდა ის ციხეში პროლეტარიატის ბრძოლაში მისი მონაწილეობის მიღებისათვის. ჩვენ არა ერთხელ გვქნება კიდევ დავა ამხანაგებთან გერმანიის დამოუკიდებელ პარტიიდან, არა ერთხელ შევებრძოლებით მათ, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ იმას, რომ ათასი დამოუკიდებელი მუშები დახვრეტილ იქნენ ბურჟუაზიულ და კაპიტალისტურ თავხედობის მიერ. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ იმას, რომ ყველა ბრძოლებში გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის წევრები წარმოადგენდენ რევოლიუციონურ არმიის ძირითად გულს. მე ვაცხადებ აშკარათ, რომ პროლეტარულ რევოლიუციისათვის, მესამე ინტერნაციონალისათვის ობიექტიურათ რევოლიუციონური როლი იმ 800,000 მუშისა, რომლებიც, მიუხედავათ ბელადების ცუდი ხელმძღვანელობისა, რყევისა და ქანაობისა, მაინც შედიან გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის ორგანიზაციაში, ისტორიის სასწორზე უფრო მეტად სწორი აღმოჩნდება, ვიდრე როლი 2—3 ათასი ჰოლანდიის „ტრიბუნისტებისა“ ქრისტიან სოციალისტების დამატებით. ჩვენ ვამბობდით და ახლაც კიდევ ვიმეორებთ რომ ყოველ მასიურ პარტიასთან, რომელიც თუმცაღა შეცდომაშიც შედის, მაგრამ სურს ბრძოლა ჩვენთან ერთად პროლეტარულ საქმისათვის, გავმართავთ მოლაპარაკებას და შევეცდებით დაახლოვებას. ისევე, როგორ დამოკიდებულებაშიაც ვართ ჩვენ მუშებთან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ინგლისის „საქარხნო მამასახლისთა“ (შტოპ-სტიუარტი) მოძრაობაში, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან კომუნისტები, სწორეთ ასეთივე დამოკიდებულებაში ვიქნებით ჩვენ იმ რევოლიუციონურ მუშებთანაც რომლებიც დგანან გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის მწკრივებში. ბ.ბ. კაუცკების დამპალ იდეოლოგიასთან ჩვენ არ წავსულვართ და არც წავალთ არავითარ დათმობაზე. მაგრამ უაზრო და სასაცილო იქნებოდა მიგველო ვანკოპის წინადადება, რომელიც ლაპარაკობს იმ პარტიის სახელით, რომელშიაც ირიცხება 15 წლის მუშაობის შემდეგ ათას ხუ-

თასი მუშა, უარი გვეთქვა იმ პარტიის წარმომადგენლების დაშვებაზე, რომელიც აერთიანებს ასი ათასობით შეკავშირებულ მუშებს, რომლებიც მუდამ იბრძვიან კომუნისტებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული და როგორც ყველა ჭეშმარიტი პროლეტარები, პატიოსანი რევოლიუციონერები არიან. ამიტომ მე დაჟინებით ვიცავ ჩემს წინადადებას იმის შესახებ, რომ მოვიწვიოთ ეს ამხანაგები, მოვილაპარაკოთ მათთან აშკარათ, გულახდილათ, არაფერი არ დაუმალოთ, და წაუყენოთ მათ ჩვენი პირობები. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დაახლოვებით ორი თვის შემდეგ გერმანიის დამოუკიდებელ პარტიიდან მუშების დიდი უმრავლესობა არა მარტო მორალურათ არამედ ფორმალურ ორგანიზაციულათაც მე-3 ინტერნაციონალზე იქნება გადაჯაჭვული.

**ამხ. ლევი:** ამხანაგებო, აქამდის მე ვფიქრობდი, რომ ამხ. ვანკოპი ეკუთვნის იმ ადამიანებს, რომლებმაც თუ კი ვერაფერი ვერ ისწავლეს, ყოველ შემთხვევაში მაინც შეუძლიათ კიდევ ისწავლონ. ორი დღის წინ მე ვცდილობდი ამეხსნა მისთვის, რომ გერმანიის რეიჰსტაგის პრეზიდიუმი ეწყობა სრულიად მექანიკურად, სხვა და სხვა ფრაქციების წარმომადგენლების ხმების რიცხვის მიხედვით, რომ პრეზიდიუმის შემადგენლობას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს მთავრობის შემადგენლობასთან, რომ პრეზიდიუმში მონაწილეობის მიღება სრულიადაც არ ნიშნავს მთავრობაში მონაწილეობის მიღებას, ვინაიდან რეიჰსტაგის პრეზიდიუმს არაფერი საერთო არა აქვს მთავრობასთან. მაშინ, ორი დღის წინ, მე მეგონა, რომ ამხ. ვანკოპმა ცოტათი მაინც რაიმე გაიგო ჩემი ახსნა-განმარტებიდან. მაგრამ ის დღეს მაინც, ვითომდა არაფერი არ ყოფილიყოს, ხელახლა იმეორებს „მართველ პარტიას“. ჩემის აზრით, ეს იმას ამტკიცებს, რომ ის, უწინარეს ყოვლისა, ფრაზას მისდევს. ეს მტკიცდება კიდევ იმით, რომ ის ლაპარაკობს გერმანიაზე ისე, როგორც შეფერის ისეთ ადამიანს, რომელსაც არასოდეს არ წაუკითხავს თავის სიცოცხლეში არც ერთი გერმანული გაზეთი. დიახ, ამხ. ვანკოპო, თქვენ არ დაიწყებდით ასეთ უაზრო სიცილს, რომ მონაწილეობა მიგეღოთ იმ რევოლიუციონურ ბრძოლების თუ გინდ ერთ-მეათედ ნაწილში, რომლებშიაც ვიბრძოდით ჩვენ დამოუკიდებლებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული. მართალია, ჩვენ ვებრძვით გერმანიის დამოუკიდებელ პარტიას, ვებრძვით მას ახლაც ყოველ ნაბიჯზე, უჯიკავებთ რა მას წინ და ყოველ დღე ვუთითებთ რა მას მის ცოდვებზე. მაგრამ როდესაც მოდიან ჰოლანდიიდან ისეთი ადამიანები, რომლებსაც აქამდის თითიც კი არ გაუნძრევია არც გერმანიის, არც მსოფლიო რევოლიუციისათვის, როდესაც ისინი მოდიან იქ და ავსებენ დამოუკიდებლებს საყვედურებით,—მაშინ ჩვენ ჩვენს მოვალეობათ ვთვლით მოწმეთ ვიყოთ გექტორის სასარგებლოთ და განვაცხადოთ, რომ გერმანელი მუშების ასი ათასები იბრძოდენ გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის რიგებში; ამ ასი ათასმა მუშებმა აიძულეს აქ მყოფი ამხანაგები მოსულიყვენ აქ; პარტიის მთელი ორგანიზაციული და ინტელექტუალური აპარატი ეწინააღმდეგებოდა ამ ასი ათასი მუშების მისწრაფებებს. და მაინც აიძულეს მოსულიყვენ მოსკოვში მათი ბელადები.

**ამხ. ზინოვიევი** კენჭს უყრის საკითხს გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის და საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლების კომისიაში დაშვების შესახებ. დიდი უმრავლესობა დაშვების მომხრეა. შემდეგ არჩევნები ხდება ქვე—კომისიის. ბიურო აქვეყნებს ამხ. მაკლინის წინადადებას: დაინიშნოს განსაკუთრებული კომისია ინგლისის მუშათა პარტიის შესახებ საკითხის გამოსარკვევათ. წინადადება მიღებულ იქნა.

სხდომა იხურება.

(შემდეგი იქნება)

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

### ვრანგელის დესანტის განადგურება ყუბანში

**ბათუმი**, 15 სექტემბერი. ვრანგელის ოპერაცია ყუბანში – ირკვევა—არ არის ისეთი ფართო, როგორც მას სახავს ყირიმის გაზეთების ცნობები და კორესპონდენტები.

ქერჩში დესანტის გადასხმის დღეს შეკრებილი იყო 29 გემი და რამოდენიმე სამხედრო ხომალდი ხუთი დიდი ბარჟით. გადასხმულ ჯარების რიცხვს გვიჩვენებს ის გარემოება, რომ თითქმის ყველა გემებმა 3 თუ 4 რეისი გააკეთეს ქერჩსა და აჭსტარსკას შუა.

დესანტში მონაწილეობას ღებულობდა მტრის მთელი სამხედრო ფლოტილია.

დამსწრეების თქმით ჩვენი ნაღმიანი კატერები საუცხოვოდ მოქმედებდენ: თავგანწირულად ებმოდენ ბრძოლაში მოწინააღმდეგის დიდ ხომალდებს. მტრის ხომალდი „ალტაი“ და ნაღმოსანი „ზვონკი“ შეტყუილებულ იქნენ დანაღმულ ზღვის მანდორში, სადაც ისინი აფეთქდენ.

„ალტაის“ მანქანა დაუზიანდა და მას სიგნალი მისცეს, რომ ზარბაზნები მოეხსნა. ნაღმოსან „ზვონკის“ ცხვირის წყალქვეშა ნაწილი მოგლჯა, რის გამო ექვსი მოკვდა და დაიჭრა რამოდენიმე. ორივე ხომალდი დიდი ხნით გამოემშვიდობა მებრძოლ ხომალდების რიგს.

ულაგაის მრავალ რიცხოვან რაზმის განადგურებაში უპირველესი როლი ითამაშეს ჩვენი ჯარების შეტევებამ და არტილერიის უპირატესობამ. კაზაკების გადმოცემით, ჩვენი ყუმბარები მტრის ზარბაზნებს სეტყვასავით ეყრებოდა.

აჯანყების იმედები, რაშიაც აფიცრობა არწმუნებდა ჯარის კაცებს სრულიათ არ გამართლდა. უკანასკნელმა გარემოებამ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ყაზახებზე: სასოწარკვეთილება და სულიერი დაცემა დაბადა მათში. იგემა რა ეკატერინოდარის მიმართულებით ბრძოლაში საგრძნობი მარცხი და იმის შიშით, რომ არ დაეკარგა ზღვისკენ და სახევი გზა, მოწინააღმდეგემ იწყო სწრაფი უკან დახევა. უკან დახევამ თავზარ დაცემის სახე მიიღო. დესანტი ზღვაზე იქნა მიჯაჭვული და მისი უკანვე გადასხმა შეიძლებოდა მხოლოდ საკმარისად ძლიერი ფლოტილიის დახმარებით.

უკან გაბრუნებულ დესანტს მეთაურობდენ ხომალდები: „ყოლიმი“, „მორიაკი“, „სამარა“ და „სორიჩი“. უკანასკნელმა ქერჩში 1200—1500 დაჭრილები მიიყვანეს.

ულაგაის ჯარების დაბრუნებამ, რაზედაც ყირიმის საზოგადოების რეაქციონური ნაწილი დიდ იმედებს ამყარებდა, შემაშფოთებული ზეგავლენა მოახდინა ქერჩში და ფეოდოსიაში.

შავრაზმლების იმედები, რომლებიც დიდ შედეგებს ელოდენ დესანტის გადასხმისაგან არა მარტო ყუბანში, არამედ მთელ ჩრდილო-კავკასიაში, შეიცვალა სულიერი დაცემით და ვრანგელის ძლიერებაში რწმენის დაკარგვით.

ქერჩი პანიკამ მოიცვა. ქალაქში დაჟინებით ვრცელდებოდა ხმები ყირიმის ნაპირებზე ჩვენი ჯარების გადასხმის შესაძლებლობაზე. ფასების ზრდა და ეპიდემიები, რაც შედეგათ მოყვა ქალაქში და ქალაქის რაიონში ჯარების თავმოყრას, ზრდიდენ და აძვიადებდენ სასოწარკვეთილებას. მტრის ჯარებმა საგრძნობათ დაჰკარგეს ბრძოლის უნარი.

ბევრი ყაზახი ყუბანში დარჩა, რადგან ყირიმში დაბრუნებას ტყვეთ დარჩენა ამჯობინა.

ყველა დარწმუნებულია, რომ ულაგაის ოპერაცია ვრანგელის უკანასკნელი ცდაა ყუბანში ბატონობის შესანარჩუნებლათ.

### „გრანდიოზული დემონსტრაცია“ ზღვაზე.

**ნაუენი**, 14 სექტემბერი (რადიო მოსკოვიდან) დანციგში გამართული მოკავშირეთა გრანდიოზული საზღვაო დემონსტრაცია ვერაფრად დასრულდა.

4 სამხედრო ხომალდიდან, რომლებიც იქ გამოცხადდენ, ადგილზე მხოლოთ ინგლისის ერთი ნაღმოსანი დარჩა.

### ამხ. კიროვის პოლონეთთან საზავო მოლაპარაკების დელეგაციის წევრათ დანიშვნა.

რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში დანიშნულია რუსეთის საზავო დელეგაციის წევრათ პოლონეთთან მოსალაპარაკებლათ. ის ამა წლის 17 სექტემბერს გაამგზავრება მოსკოვში, საიდანაც რიგაში გაემგზავრება. კავკაამდე მას ამხ. ს. ქავთარაძე გააცილებს. სრულუფლებიან წარმომადგენლობის მოვალეობის ასრულება ეკისრება წარმომადგენლობის მრჩეველს ამხ. ლ. ნ. სტარკს.

### მიზეზები, რომლებმაც აიძულეს საბჭოთა მთავრობა რ. ს. ფ. რესპუბლიკაში არ შეეშვა საქართველოს დელეგაცია, შემდეგია:

1) ეს დელეგაცია არ არის საქართველოს მუშათა კლასის წარმომადგენელი, ვინაიდან მასში არ ურევია არც ერთი მუშა-კომუნისტი, რომლებსაც საქართველოში ბევრ პროფესიონალურ კავშირებში უმეტესი ზედ გავლენა აქვთ, ხოლო ზოგიერთებში შეადგენენ მნიშვნელოვან უმცირესობას.

2) დელეგაციაში დიდ უმრავლესობას შეადგენენ მრთველ პარტიის—საქართველოს მენშევიკების—წარმომადგენლები, დელეგაცია მიემგზავრება მთავრობის მიერ გაღებულ ხარჯზე, ყველა ამის და სხვა მრავალ გარემოების გამო, დელეგაცია უნდა ჩაითვალოს არა მთელ მუშათა კლასის წარმომადგენლათ, არამედ მთავრობის დელეგაციათ.

3) ვინაიდან საქართველოს მთავრობა გზავნის რ. ს. ფ. რესპუბლიკაში თავის სრულუფლებიან წარმომადგენლათ ნოქ. მახარაძეს, საქართველოს სოც. დემ. პარტიის წევრს, საბჭოთა რუსეთის მთავრობა ზედმეტათ სთვლის მთავრობის მეორე დელეგაციის ყოფნას რუსეთში.

4) რაც შეეხება დელეგაციის მიზანს: რუსეთისათვის ცნობების მიწოდებას საქართველოს ნამდვილ მდგომარეობის შესახებ და პირიქით, საქართველოსთვის ცნობების მოწოდებას რ. ს. ფ. რ. ნამდვილ მდგომარეობაზე,—პირველს შესძლებს სრულუფლებიანი საქართველოს წარმომადგენელი რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში მოქ. მახარაძე, ხოლო მეორე შედის რუსეთის წარმომადგენლობის მოვალეობაში, რასაც მისი ბეჭვდითი ბიურო ასრულებს.

### გაფიცვა ინგლისში.

**მოსკოვი**, 13 სექტემბერი (რადიო). მბეჭდავთა კავშირი აცხადებს პირველ ოქტომბრიდან მბეჭდავთა საყოველთაო გაფიცვას. ლონდონის ელექტრო-ტექნიკური მუშები ერთ კვირაში დაიწყებენ გაფიცვას, რომლითაც შეჩერებულ იქნება მიწის ქვეშა რკინის გზის მოძრაობა, აგრეთვე ტრამვაისა და მასთან განათება მთელ ქალაქისა.

# უკანასკნელი ცნობები

14 სექტემბერი.

**სამხ. ოპერატ. რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსავეტის“ საველე შტაბისა.**

### პოლონეთის ფრონტი

**მოსკოვი**, 17 სექტემბერი. გროდნოს სამხრეთ დასავლეთით გრძელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები.

ბელოვეჟის უდრან-ტყის რაიონში ცვალებადი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს.

კობრინის რაიონში წარმატებითი ბრძოლები სწარმოებს.

კოველის რაიონში ჩვენ გავანადგურეთ მოწინააღმდეგის საავტომობილო კალონა, რომელიც კინაღამ შემოგვეჭრა კოველის სამხრეთით. შევიპყრეთ ტყვეები და რამოდენიმე საბარგეული.

როგატინოს რაიონში სწარმოებს ბრძოლა როგატინოს ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით.

გალიჩის რაიონში ჩვენი ჯარები შეებნენ მოწინააღმდეგეს, რომელიც დნესტრის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა.

### ყირიმის ფრონტზე.

**ზემო-ტოკმანის რაიონში** ჩვენი ნაწილები აჩერებენ მოწინააღმდეგის ცხენოსან ჯარს, რომელიც ცდილობს გადალახოს რკინის გზა—ცარე-კონსტანტინოვკა.

# ახალი ამბები

— **კომუნისტების დატუსაღება.** ხუთშაბათს, 16 სექტემბერს საღამოს 5 საათ. რუს. ნაც. საბჭოს, სადაც მოთავსებულია ჩვენი ბიუროები გარშემოერტყენ საგანგებო რაზმის აგენტები დაახლოვებით 10 კაცი, რომლებმაც ნადირობა დაიწყეს კომუნისტებზე. თხოულობდენ პირადობის მოწმობებს და ატუსაღებდენ. ნადირობა გაგრძელდა ღამის ათ საათამდის.

# დეპეშები

(ს. დ. ს. საინფორმაციო განყოფილება).

### კანონი ქალების შესახებ.

**ვაშინგტონი**, სექ. 6. კანონი ქალებისათვის აქტიურ საარჩევნო უფლების მინიჭების შესახებ არ განხორციელებულა. მის ცხოვრებაში გატარება დროებით გადაიდო.

### მოძრაობა ირლანდიაში.

**ლონდონი.** სექტ. 1. ირლანდიის პოლიცია ოფიციალურად იტყობინება, რომ მაისსა და ივნისში ირლანდიაში დაანგრიეს 23 სასამართლოს შენობა. 10 შენობა სერიოზულადაა დაზიანებული. დაანგრიეს აგრეთვე პოლიციის ყაზარმა, და მთავრობისა და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები.

### განწირულის რჩევა.

**პარიზი.** 4 სექტემბერი. „ლეპოპიულერი“ იუწყება, თანახმად სარწმუნო წყაროებისა გენერალმა გოფმანმა მიმართა ლოიდ-ჯორჯს თხოვნით, შესწყვიტოს კრასინთან და კამენევთან ყოველგვარი მოლაპარაკება და მოაწყოს მოსკოვის წინააღმდეგ ევროპის სამღვთო ომი. გაზეთები გადმოგვცემენ რომ ეს განცხადება მხოლოთ სიცილს გამოიწვევსო.

### საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესი.

**პარიზი.** სექტ. 5. საფრანგეთის სოციალისტური პრეს პარიზში კაშენის და ოროსარის დაბრუნების გამო მოითხოვს პარტიის კონგრესის მოწვევას კაშენისა და როსერის რუსეთში მოქმედების განსახილველად.

### პრესის მიმოხილვა.

**მოსკოვი.** ენკენ. 16. აღმოსავლეთ ხალხთა წარმომადგენლების ყრილობაზე მოსულმა დელეგატებმა წინასწარ დიდი გაჭირვება გამოიარეს. მაგალითად, ოსმალეთის რესპუბლიკაში, რომ მოეხდინათ არჩევნები დელეგატებისა ყრილობაზე დასასწრებლად. ცუდ ამინდში გაგზავნეს აგიტატორები ტრაპეზუნდში. კონსტანტინოპოლიდან გამოსული ინგლისელების საყარაულო გემი ტრაპეზუნდის ახლო დადიოდა აგიტატორების დასაჭერათ, მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. ინგლისელებმა იმ მიზნით, რომ სპარსეთიდან წამოსული დელეგატები არ გაეშვათ ყრილობაზე, ენზელზე თავდასხმა მოაწყვეს. ჰაეროპლანიდან გადმოისროლეს რამდენიმე ყუმბარა. არაფერი ითქმის იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღეს ინგლისელებმა ინდოეთის საზღვრებზე და ნავთსადგურში. ყველა ეს ფაქტები გვიჩვენებს იმას, რომ ინგლისს აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა მართლა საშინელებად მიაჩნია. მაგრამ ინგლისმა მაინც ვერ შესძლო ყრილობის დაშლა. შესძლო მხოლოთ ის, რომ რამდენიმე ათასმა დელეგატმა ვერ შესძლო მისი ბლოკადის გარღვევა.

### დგება ცივი ზამთარი

ფრანგი იმპერიალისტები სისხლს გვწოვენ, მოსვენებას არ გვაძლევენ, ხელს გვიშლიან საამშენებლო მუშაობაში და იძულებულს გვხდიან, ყველაფერი კარგი ფრონტს მოვახმაროთ. ცხოვრება თითქმის ხრულიად მოიშალა, ნამეტურ საგრძნობია ეს ზამთრობით. უნდა ვიზრუნოთ, რომ მუშაობა გავაჩაღოთ ფაბრიკებსა, სახელოსნოებსა და ქარხნებში. ახლანდელ პირობებში დალხინებული ცხოვრება შეუძლებელია. ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ გაიწმინდოს სამუშაო ადგილები ტალახისა და ნაგავისაგან და შეკეთდეს ასეთ შენობათა კარ-ფანჯრები. ახლა უნდა მოვიკრიბოთ ძალა.

# მკითხველთა წერილები

### „ნაციათა ლიგის“ მისიის ჩამოსვლის გამო.

(იხ. „ახ. კომუნ.“ № 45).

კიდევ მეტი. ყურადღებით მკითხველი ადვილად შეამჩნევდა ფაქტების გადახლართვას, რომლის დროსაც ხდება ამ დელეგაციის აქ ჩამობრძანება: მეორე ინტერნაც. მიერ ყოველივე გავლენის, წონის და ძალის დაკარგვაა, და მის მიერ მე-3 კომუნ. ინტერნაციონალის წინააღმდეგ საღვთო, ჯვაროსნულ ომის გამოცხადება, პოლონეთის რეაქციისათვის სამხედრო ბედ იღბლის გაღიმება, ანტანტის მიერ გაწამებულ რუსეთის ბლოკადის ცეცხლიან რკალის შემორტყმევა, შიდა რუსეთში სასურსათო კითხვის გართულება გამუდმებულ გარეგან თავდაცვის გამო, სომხეთის პრესის გაცოფებულ, დუქ-მორეული, პოგრომული აგიტაცია საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, აშკარა ომის გამოცხადების სურვილი, მენშევიკური გაზეთების მიერ არა-ჩვეულებრივი საეჭვო ტონის აღება (ანტანტის წინააღმდეგ გალაშქრება—ეს ახალი ლეიტმოტივი, რომელსაც შეცდომით სთვლიან მარქსისტულ აზროვნების, მივიწყებულ სოციალისტურ სინდისის გამობრწყინებათ), აზერბაიჯანის ყოველ მნიშვნელობას მოკლებულ სოციალისტურ პარტიებს ასე მრავლათ ჟენევის კონგრესის მიერ დაწყებულ კამპანიაში მონაწილეობის მიღება,—აი, თუ ამ ფაქტების კონას ერთ თვალსაზრისით შევხედავთ, ერთი პერსპექტივით განსჭვრეთ, ერთ იდეით შევერთებით—მაშინ ადვილათ გამოვიცნობთ ამაში ანტანტის მიერ მოწყობილ მორიგ გამოსვლას, იერიშს, შეტევას საბჭოთა რუსეთის შესამუსვრელად, ანდა უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, საკბენათ, დასაკოდავათ. და განა დელეგაციის შემადგენლობა (ანტანტის „ნაციათა ლიგის“ მოტრფიალე ლიდერები) ამას აშკარად არ ღაღადებს? ვინ ამშვენებს ამ პატივცემულ მისიას? კაუცკი, რომელმაც ბერლინის იანვრის დღეებში პირდაპირ მუხანათური როლი ითამაშა, მებრძოლთა გამხნევების მაგიერ მოუწოდებდა ჯალათ ნოსკეს ბანდებთან მოლაპარაკებისაკენ, რამაც გამოიწვია ყოყმანი და გაუბედაობა მებრძოლთა შორის, ეს სასიკვდილო ლახვარი რევოლიუციისა, იმ დროს, როდესაც კონტრ-რევოლიუციამ გასამუსრავი ძალა შეკრიბა შეტევისათვის; ის კაუცკი, საკუთარ პარტიიდან გაძევებული თავის რენეგატულ აზრებისათვის, რომელსაც გერმანიის მუშები წყევა-კრულვით და აღშფოთებით იხსენიებენ და რომლის სახელი დაუდეგრობის სინონიმათ შეიქნა, ბურჟუაზიის ქება-დიდების, სათაყვანო საგნათ და თითით საჩვენებლად გადაქცეულია (იხილეთ თბილისის ბურჟუაზიული პრესა, მაგ. ტოტომიანცის წერილი „სლოვო“-ში). ვანდერველდე, ეს ბარაბანის ურაპატრიოტი, მისი უმაღლესობის ბელგიის მეფე ალბერტის მორჩილი მინისტრი, რომელიც წარბ-შეუხრელათ ახერხებდა ინტერნაციონალის თავმჯდომარეობას და ბურჟუაზიულ სამინისტროს სავარძელში ჯდომის შეერთებას.

შოუ, რომელიც რუსეთში რევოლიუციას ეფიცებოდა, და ჟენევაში კი თავმჯდომარეობს იმ ინტერნაციონალს, რომელმაც მიზნათ დაისახა ამ რევოლიუციასთან ბრძოლა, რომელსაც შიშის ზარსა გვრის და ცხელებაში აგდებს ძალდატანების წარმოდგენაც კი. ადვილი გასაგებია, რათა სცემს მენშევიკთა სამყარო ბუკსა და ნაღარას და რათ უვლის დავლურს: სულს სული იცნობს და გული გულსაო, ნათქვამია.

მაგრამ უნდა იცოდენ ამ „სოციალისტებმა“, რომ რევოლიუციონურ სტიქიას ისინი ვერსად ვერ გაექცევიან, რომ მათ მოუხდებათ თქმა: „სადაც გავიქეცი, იქ წავიქეციო, ზღვას დავემალე, ცვარმა დამახრჩოო“.

**სავონაროლა.**

# სახალხო მეურნეობა საბჭოთა რუსეთში

### რუსეთის ელექტროფიკაცია

რუსეთის საელექტროფიკაციო კომისიაში ინჟ. უსპენსკიმ გააკეთა ფართე მოხსენება სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციის შესახებ. თავის მოხსენებაში ის შეეხო იმ კითხვის გარკვევას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ცხოვრებაში მიწის დამუშავების შესახებ ძირითადი საერთო ლოზუნგი: ქვეყნის საწარმოვო ძალების დაჩქარებით აღორძინება მეცნიერებაში და პრაქტიკაში არსებული ყველა საშვალებების დახმარებით.

ამ მოსაზრებით მიწის მოწესრიგების საკითხები უნდა გაირჩეს არა განაწილებისა ან მფლობელობის, არამედ ყველა-

ზე უწინ მისი განაყოფიერების თვალთახედვის ისრით. აგრარული წარმოების პრობლემის სირთულე აიხსნება მთელი რიგი გარემოებებით. სხვადასხვა გვარი ძირითადი მრეწველობისაგან მით განირჩევა მიწის დამუშაება, რომ აქ ყველაფერი არაა ჯერ კიდევ ტეხნიკური მეცნიერების განკარგულებაში.

შრომის განაწილების პრინციპი—ეს ძირითადი პრინციპი ყოველგვარი პროგრესიული მრეწველობის ტეხნიკისა—მიწათ მოქმედების სფეროში განისაზღვრება მხოლოთ თანდათანობითი ოპერაციებით დროთა განმავლობაში, რომელიც ჩვენი ნება-სურვილის გარეშეა. შრომის ასპარეზის სიფართოვე აყენებს ჩვენს წინაშე სივრცესთან ბრძოლის მთელ რიგ ამოცანების. დღეს მთელი რიგი საკითხებისა მჭიდროთაა დაკავშირებული ჯერ კიდევ მხოლოთ ჩასახულ მთელი ქვეყნისა და სახელმწიფოს შიგნით საქონლის გაცვლა-გამოცვლის ახალ დამოკიდებულებასთან.

და რამდენი უსარგებლო ბალახი და და გლახათ დამწვარი ნეხვი დაგვრჩა ჩვენ ბატონ-ყმურ-კაპიტალისტურ ეპოქიდან მთელ აგრარულ „საკაცობრიო“ ასპარეზზე?

მარა პრობლემის სირთულე მით უმეტესათ გვავალებს ჩვენ გაორკეცებულ მუშაობას. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიწის სოციალიზაციის კანონმა შენობის მხოლოთ უფლებრივი ფასადი მოგვცა აქნამდის, ეკონომიური და აგრონომიულ-ტეხნიკურ დონისძიებანი კი ჯერ კიდევ ესკიზურ მოხაზულობის სფეროშია.

ევროპიულ რუსეთში დამუშავებულია რუსეთის გლეხის შრომით (როგორც საკუთარი, ისე მემამულეების მიწა) 107000000 დესიატინა; შინაური პირუტყვი კი მოშენებული ყავთ 140000000 სული. ამნაირათ თითო კომლზე ევროპიულ რუსეთში მოდის საშვალოთ 5,4 დესიატინა დამუშავებული მიწა და 9 სული შინაური პირუტყვისა. თითო მჭამელზე კი მოდის ერთი მეორეზე 0,88 დესიატინა დამუშავებული მიწა და 1,66 სული შინაური პირუტყვი: ეს ციფრები რასაკვირველია მეტათ უმნიშვნელონი და მცირეა იმ ნორმებთან შედარებით, რასაც გულისხმობს თანამედროვე აგრონომია ყოველივე რიგიანათ მოწყობილი მეურნეობისათვის. თუ კი მეორე მხრით ჩვენ მივიღებთ მხედველობაში, რომ საერთო მდგომარეობის დაფასების დროს ასეთი ციფრები განიცდიან მეტათ დიდ შემცირებას, მაშინ რუსეთის სასოფლო-მეურნეობის დაკნინება წარმოსდგება ჩვენს თვალის წინ მთელი თავისი უფერულობით და უმნიშვნელობით.

შესაძლებელია კი ასეთი დაკნინების ახსნა მხოლოთ მარტო უსწორმასწორო განაწილებით მიწის ფონდისა რევოლიუციამდის? ამ შემთხვევაში მეტათ საგულისხმიეროა ციმბირის გამოცდილება, რომელმაც, როგორც ცნობილია, არ იცოდა ბატონ-ყმობის მძიმე შედეგები და განთქმული იყო თავისი შრომის მოყვარე და ჯაფის ამტანი გლეხებით და ნაყოფიერი მიწების სივრცით. ჩინებული თავისი ნაყოფიერებით დასავლეთ ციმბირის მიწები 50-100 დესიატინა და ხშირათ მეტიც ეძლეოდა გლეხების თითოეულ კომლს, მაგრამ სტატისტიკა აქაც სამწუხარო შედეგებს იძლევა. დამუშავებული მიწების რაოდენობა ციმბირში მინიმუმი 0,4 დესიატინიდან ადის მაქსიმუმ 1,27 დესიატინამდის თითო მჭამელზე, ე. ი. დამუშავებულია მხოლოთ 5—20% მთელი საუკეთესო მიწების სივრცისა. შინაური პირუტყვი კი თითო მჭამელზე ციმბირში მოდის მინიმუმი 3 ცილიდან მაქსიმუმი 5-27 ცალამდის.

ეს ციფრები ნათლად მოწმობენ იმას, რომ მიწის სამწილში ერთხელ დამუშავების სისტემით (трехпольная система) ცენტრალურ რუსეთში და ხანგრძლივი დასვენების სისტემით (переложная система) ციმბირში მიწის მუშას არ ძალუძს მოერიოს მიწის რაოდენობას 1,27 დესიატინაზე მეტს, თუნდაც მიწის დამუშავება წარმოებდეს ულტრაექსტენსიური მეთოდებით, რომ ჩვენ მიწის მუშის შრომა უმთავრესად მომაგროვებელია და არა შემოქმედებით, რომ საერთო მასშტაბით ჯერ კიდევ არაა გადადგმული სათანადო ნაბიჯები სოფლის მეურნეობის შემოქმედებითი ძალების ასაღორძინებლათ.

(დასასრული იქნება).

# პარტიული ცხოვრება.

**ოზურგეთი**

როდესაც ქალაქის და სოფლის მუშებმა გაიგეს ს. კ. პ. ლეგალიზაცია, იწყეს მასიური შემოსვლა ჩვენს პარტიაში ბევრი მუშა ტოვებდა მენშევიკურ პარტიას და გადმოდიოდა ჩვენთან -ს. კ. პ.-ში. მენშევიკურ ორგანიზაციებმა იწყეს რღვევა. ბევრი ძველი მომუშავენი სამუდამოთ ჩამოშორდათ.

ამ გარემოებამ შეაშფოთა მენშევიკები და დაიწყეს ჩვენი ამხანაგების დევნა.

დევნიან პარტიის წევრობისათვის ამხ. სურგულაძეს და სხვებს. მართავენ ყრილობებს, სადაც იბარებენ მათგან გამოქცეულს ჩვენს ამხანაგებს: ემუქრებიან მათ ღალატისათვის (სინამდვილეში კი—თვით გამორკვევისათვის) დაჭერით, ბოიკოტით...

ამ შავრაზმულ მოღვაწეობით ყველაზე უფრო სახელი მიხა საბაშვილმა გაითქვა. იგი დადის სოფელ-სოფელ. მაგალითად, ბრძანდებოდა სოფ. ბახვში და შემოქმედში, სადაც ეწევიან დიდ დემაგოგიას და ლანძღვა გინებას. დაქირავებულ ლაქიების საყურადღებოთ, გამოცემულა ბრძანება, რომ ადგილობრივათ კომუნისტებს არ მისცენ მუშაობის და კრებების მოწვევის საშუალება, და, თუ მოაწყონო, თვით მთელი კრება დაატუსაღეთო. აი ასეთი ზომებით აპირებენ ბ. მენშევიკები თავისი ორგანიზაციების გაკოტრების პროცესის შეჩერებას!..

**გუგული.**

---

**პ რ ო ტ ე ს ტ ი**

ხარაგაულის, ჩხერის, თეთრაწყაროს, ისლარის და ჯაფარულის (ხარაგაულის რაიონი) იაჩეიკების წევრების საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ხარ. სარაიონო კომიტეტის წარმომადგენლის, სომხეთში ამხანაგ კომუნისტების ვერაგულათ დახვრეტა-წამების შესახებ, რომელსაც აწარმოებს დაშნაკელების შოვინისტური მთავრობა, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ, აღშფოთებული ასეთი მხეცური მოქცევით, ენერგიულ პროტესტს და ზიზღს ვუცხადებთ სომხეთის რეაქციონურ მთავრობას და გადაჭრით მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქნას ეს უმსგავსო სისხლის ღვრა, დევნა და ყოველგვარი თეთრი ტერორი კომუნისტების წინაამდეგ. ჩვენ პატივისცემით ვიხსენიებთ გმირულად დაღუპულ ამხანაგებს, რომლებიც შეეწირენ მსოფლიო სოციალისტ. რევოლიუციას და ღრმად გვწამს, რომ შორს არაა ის დრო, როდესაც პროლეტარული კრატერი ამოუშვებს თავის სიღრმიდან რევოლიუციონური ცეცხლის მდინარეებს და წალეკს კომუნისტური პარტიის მოსისხლე მტრებს, მსოფლიო კონტრ რევოლიუციას; მაშინ აღსდგებიან სომხეთის მუშები და გლეხები და წითელი ინტერნაციონალის დროშით ხელში მოვლენ დაღუპულ ამხანაგების საფლავზე და ჩასძახებენ მათ თავიანთ გამარჯვებას.

**ხარაგაულის რაიონ. კომიტეტი.**

---

**გეჯეთი (სენაკის მაზრა).**

ს. გეჯეთის კომუნისტრრ პარტიის წევრებმა რიცხვით 70 კაცმა, იქონია რა მსჯელობა სომხეთში მომხდარ დაშნაკელების საზიზღარ მოქმედებაზე, რისი მსხვერპლიც გახდენ საუკეთესო და შეუდრეკელი სოციალიზმისათვის მებრძოლი ამხანაგები—დაადგინა: გამოეცხადოს სასტიკი პროტესტი მშრომელ პროლეტარიატის სისხლით გათითხნილ დაშნაკელ ჯალათებს, დეე აგონ პასუხი მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინაშე სომხის დაშნაკურ მთავრობამ. ყველა მშრომელნი არ დავივიწყებთ თქვენს ჯალათურ მოქმედებას რევოლიუციონურ პროლეტარიატის წინაამდეგ... ხსოვნა და დიდება დაღუპულ ამხანაგებს.

წყევლა და კრულვა სომხეთის დაშნაკურ მთავრობას.

მონდობილობით **უჩანა**

---

**ქოლობნის თემი (სენაკის მაზ.)**

ამ თემში არსებობს კომუნისტური ორგანიზაცია. წევრები ადგილობრივი მუშა-გლეხებია. თავის თავად ცხადია, რომ ამ მუშათა ორგანიზაციას დიდ წინაამდეგობას უწევს ადგილობრივი გაბრუებული მენშევიკ-შოვინისტთა ორგანიზაცია, რომელიც სანახევროდ შესდგება დეზერტირ-ჩარჩ-სპეკულიანტებისაგან.

ამ შოვინისტურმა ორგანიზაციამ ყოველივე ძალ-ღონე იხმარა მუშათა ორგანიზაციის ჩასაშლად, მაგრამ ველარ შესძლო.

ამ მოკლე ხანებში მუშათა ორგანიზაცია აირჩევს პასუხისმგებელ კორესპოდენტს, რომელიც სისტემატიურათ მიაწვდის ჩვენს ორგანოს ამბებს მუშათა ცხოვრებიდან.

იმედია წევრები გაორკეცებული ენერგიით შეებრძოლებიან იმ უკულმართობას, რომელიც სუფევს მათ გარშემო და შეუდგებიან ორგანიზაციის გაძლიერებას.

**გ. წითელარმიელი.**

# მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

**ჩ ვ ე ნ შ ი.**

**რკინის-გზაზე.**

„მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო“ ამას ერთ დროს ხუცებს დასცინოდა ჩვენი მოსოციალისტო ხალხი, და ახლა თვითონვე მასვე—მღერიან. როდის იყო, რომ რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეები ნახევრად მშიერ-ტიტველნი ათასნაირ სიდუხჭირეს არ ვითმენდით, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს, ეს მესამე კვირაა რაც შორაპნის რაიონის რკინის გზის ფურნეებში რაღაც ნაგავს აცხობენ, რომელიც ექიმებისგან შემოწმებით არამც თუ მოსამსახურეებისთვის, თვით ღორებისთვისაც კი საზიანო და მავნებელია. არც ერთი ამ რაიონის მუშა-მოსამსახურე ამ საეჭვო პურს აღარ ვღებულობთ, ვინაიდან არავის ჩვენგანს ჯერ-ჯერობით ცოლშვილი სასიკვდილოდ არ გაგვიმეტებია, რის შესახებ არა ერთხელ მთელი მუშა-მოსამსახურეების სახელით ემცნო ვისთანაც ჯერ იყო, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყს. ბაზარზე კი პური გირვანქა 40 მანეთი ღირს, ჯამაგირი რომელიც ერთ რწყვილ წუღას ძლივს თუ იყიდის. არ გვყოფნის, არც არა გასასყიდი გაგვაჩნია რა და უკიდურეს მდგომარეობას განვიცდით.

დანარჩენ საჭირ-ბოროტო ნივთების შესახებ, ხომ ლაპარაკიც მეტია. აგერ ორი კვირა ხდება, რაც ამავე რაიონულ კოოპერატივში (შორაპნის მაღაზიაში) სისტემატიურად ფულებისა და ნივთების გაფლანგვის გამო რევიზია სწარმოებს, რომელიც ჯერაც არ გათავებულა და ვინ იცის კიდევ სანამდი გაგრძელდება; მანამ კი მაღაზია დღიდან მისი რევიზიისა დაკეტილია და იმ ადრე მოტანილ ნივთებს, რომლების მიღებაც ადრევე მაღაზიის დაკეტვამდე ვერ მოვასწარით, უსათუოდ ბაზარზე აწეულ ფასების მიხედვით ერთი ათად გააძვირებენ, მაგალითად ფეხსაცმელები თუ მაღაზიის დაკეტამდე 2500 მანეთი ღირდა, რევიზიას რომ მორჩებიან 7000 მანეთი და მეტი ეღირება და მერე რატომ? მიტომ რომ აქამდე მის დასარიგებლად არ სცალიათ. ქურდს დაეძებენ და ვაი მისი ბრალი, თუ იპოვნეს: ორაგულის მსაჯულებივით ასწევენ და თბილისში გადააგდებენ, რომელიმე მომსუქნო ალაგს უბოძებენ კოოპერატივის გამგეობაში. და აი, სწორეთ ასეთ ათასგვარი უსამართლობის დროს ჩვენ მიერ არჩეული ჩვენი ამხანაგები წამოსკუპულან ცენტრში და მის ირგვლივ თბილ თბილ ალაგებზე; ხოლო შიმშილისაგან არაქათ გამოცლილ მუშა-მოსამსახურეებს კი, თითით გვემუქრებიან: „არ გაბედოთ! თუნდ სულიც აღმოხდესთ, მოითმინეთ, საყვედური არა გაალარღილოთ რა, თორემ ციხე და მისი ჯანიო“. მამაცხონებულებო, ყელამდი მაძღარნო მღვდლებო, თქვენი დიაკვნის ოთახშიდაც შეიხედეთ, თუნდ ერთი გირვანქა პური ჩვენს დახშულ ოთახშიდაც შემოისროლეთ და უცქირეთ, როგორი წივილ-კივილით ებღვნან ჩვენი ბავშვები და მის ერთი მეორის ხელიდგან გამოგლეჯაზე თავპირი დაკაწრონ ერთმანეთს. რასაკვირველია თქვენ ამისთანა სურათებით არ აღმიშფოთდებით, არც არა თქვენთან ბევრი ლაპარაკით გამოვა რა, გარდა იმისა რომ: „А Васька слушаетъ да ѣстъ“, მაგრამ ახლოა დრიო, რომ არმაზს და მის თანამოძმე კერპებს მეხი დასცხებს, ნიაღვარი წალეკავს და თქვენც მაშინდლისთვის მოამზადეთ პასუხი.

**მუნჯი.**

---

**„მუშათა დელეგაციის“ გამო.**

ვიმსჯელეთ რა ჩვენ, ძველმა მუშებმა, პროფესიით ნოქრებმა, ზეინკლებმა, აღმშენებლებმა, მეუნაგრეებმა და ნემსზე მომუშავეებმა, რიცხვით 11 კაცმა, ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს საქართველოს მუშების დელეგატების ზევიდან დანიშვნისთვის, რომლებიც დანიშნეს რუსეთში გასაგზავნათ და ვუცხადებთ სასტიკ საყვედურს იმ ამხანაგებს, რომლებიც ჩვენთან ერთად იბრძოდენ 1917 წლ., ხოლო მერმეთ კი უღალატეს მშრომელ კლასს და გაყვენ ბურჟუაზიას. ბურჟუაზიის აღსასრული მოდის და თქვენ, ზოგიერთო ძველო მუშებო! უნდა დალპეთ ეგრე ჭაობაში, სირცხვილი თქვენ, ერთი თვალი ხომ დიდი ხანი არის, რომ დაგემსოთ და მეორეში მოგაფურთხებთ თქვენ მოღალატე საერთაშორისო პროლეტარიატისავ! სირცხვილი თქვენ, რომ თბილისი „პარიზათ“ გადააქციეთ და დიდება ბაქოს პროლეტარიატს, რომელმაც გადააქცია ქ. ბაქო აღმოსავლეთის თავისუფლების აკვნათ.

ამხ. მონდობილობით გლეხი ბიჭია.

---

**ქუთაისის მუშათა მაგიდა.**

ამ ბოლო დროს ქუთაისის მუშა-მოსამსახურეებს ეძლევა ქერის პური, რომლის ჭამა მისი გაუცრელობის და უსუფთაოდ დამზადების გამო ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. ამის გამო თვით მუშა-მოსამსახურეებში მითქმა-მოთქმაა, მუშათა მაგიდის მიერ ასეთი პურის მოწოდების გამო, რამაც იძულებული გახადა მუშათა მაგიდის მესვეურები, მოეწვიათ პროფესიონალურ კავშირთა გამგეობების წევრთა შეერთებული კრება, მუშა-მოსამსახურეებში მათთვის არა-სასურველი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად.

კრება მოწვეულ იქმნა 3 სექტემბერს, სადაც ბ-ნმა შრომის კომისარმა გააკეთა მოხსენება სურსათის მდგომარეობაზე და პურის უსუფთაოდ გამოცხობის შესახებ. პურის უსუფთაოდ გამოცხობის მიზეზად ბ-ნ კომისარმა დაასახელა საცრების უქონლობა, რამაც თვით დამსწრე საზოგადოება გაკვირვებაში მოიყვანა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგენილ იქმნა შემდეგი: „იქნეს შეძენილი საცრები, ფქვილი იქნეს გაცრილი და პური სუფთად გამომცხვარი“.

ასეთია საქმე. რომ თვით მუშა-მოსამსახურეებს არ აღემაღლათ ხმა, ბ ნი მაგიდის გამგენი საცერსაც ვერ შეიძენდენ.

**დამსწრე.**

---

**თბილისის № 1-ლი პურის საცხობის მუშების მდგომარეობა.**

თითქმის ექვს თვეზე მეტია, რაც მუშები ხელთ საწყოს უქონლობის გამო ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიმყოფებით. არა ერთხელ და ორჯერ გვქონია ლაპარაკი, როგორც დაბალ, ისე უმაღლეს ადმინისტრაციასთან საქმის მოსაგვარებლათ, მაგრამ პასუხათ ყოველთვის მიგვიღია—გვაცალეთ, ერთი ორი სამი დღე და აუცილებლათ დაგაკმაყოფილებთო. ეს, გასაკვირიც არ არის ადმინისტრაციიდან, ორი სამი დღე ორ სამ კვირად იქცეოდა ხოლმე და ამ ბოლო დროს სამ სამი კვირაც აღარ დარჩა საკმარისი, და გადააქციეს სამ თვეებათ. სანამ კიდევ ცოტა მაინც მოგვეპოვებოდა მუშებს სამუშაო ხალათები, მანამ თვეში ერთხელ ანდა ორხელ გამოგვიცვლიდენ ხოლმე, მაგრამ ამ ბოლო დროს ხალათების ნაკლებობამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია, უკანასკნელათ კი ესეც აღარ დარჩა საკმარისი.

მის მაგივრათ, რომ კვირაში ორჯერ ან და ერთხელ მაინც გამოეცვალათ ხალათები, ეხლა სამ თვეზე გადაუტანიათ, რაიცა საუცხოვოთ უწყობს ხელს ეპიდემიის დაცვას, ასე რომ თუ ამ გარემოებამ გასტანა კიდევ რამდენიმე ხანს, საუცხოვო ბაზა ემზადება ავადმყოფობას, რომელიც ისედაც განადგურებულ მუშებს, მოგვითავებს ხელს.

**გ. სირაძე.**

## საზღვარ გარეთ.

**ტრანსპორტის მუშებო ყველა ქვეყნისა!**

**ტრანსპორტის მუშათა კავშირის საერთაშორისო სეკრეტარიატს ამსტერდამში, ბრიტანეთის ტრანსპორტის კონფედერაციის მდივანს რობერტ ვილიამს—ლონდონში.**

სრულიათ რუსეთის წყლის ტრანსპორტის მუშათა კავშირს აქვს ცნობა ყველა იმ საზიზღარ და თავხედურ მოქმედებათა შესახებ, რომელსაც იჩენს ანტანტის მთავრობა იმ რუსი მატროსების მიმართ, რომელნიც მოხვდნენ მათ ტერიტორიაზე. პროტესტი გამოცხადებული ჭარფის მატროსთა კომიტეტის მიერ გაზეთ „დეილი გერალდში“ გვიჩვენებს იმ მეთოდებს, რომელსაც მიმართავს ინგლისის მთავრობა. ის აყენებს რუს მატროსებს თავის კოლონიალურ მონათა მდგომარეობაში, ართმევს ყოველივე საშვალებას ერთი ალაგიდან მეორეზე გადასვლისას, აგდებს მათ შიმშილში და უყურებს, როგორც კანონის გარეშე მყოფ ადამიანებს. ეს ხდება არა ინდოეთის ან რომელიმე ოკეანის იქით მდებარე მიყრუებულ კუთხეში, არამედ ინგლისის მუშების ცხვირის წინ, დიდი ბრიტანიის კუნძულებზე. ზიზღი ბურჟუაზიისა მუშათა კლასის მიმართ გასაგებია, მხოლოდ ჩვენთვის გაუგებარია რათ აძლევს ნებას ინგლისის მუშათა კლასი ბურჟუაზიას დაამციროს მათი კლასიური ძმები. ყოველი თქვენი სიტყვები და სიმპატიები საბჭოთა მთავრობის და რუსეთის რევოლიუციის მიმართ ამდენ ხანს წარმოადგენს მხოლოდ ლაყბობას, ეს მაშინ, როდესაც მუშათა კლასის ტანჯვის ფიალა ყველა ქვეყნებში აივსო. ბურჟუაზიის საზიზღრობა უმაღლეს წერტილამდი ავიდა იმიტომ, რომ ის ვერ ხედავს თქვენში აქტიურ წინაამდეგობას.

მოგიწოდებთ რა წინააღუდგეთ ინგლისის მთავრობას რუსი მატროსების დამცირებაში ჩვენ ველით ამ შეკითხვის შედეგებს, ჩვენ ველით სიტყვიერ სოლიდარობის საქმითაც დამტკიცებას.

**სრულიათ რუსეთის წყლის-ტრანსპორტის მუშათა ცენტრალური კომიტეტი.**

## რა ხდება საქართველოში

208 გაზ. „ერთ.“ ბინის საკითხის შესახებ ს. მაჭავარიანი სწერს: შემ. „აპრილის პირველ რიცხვებში უფალმა გზათა დირექტორმა, თანახმად რკინის გზების უფროსის შუამდგომლობისა, კერძო წერილით მიმართა ქალაქის მოურავს—მოეცათ ჩემთვის საცხოვრებელი ბინა ჩემ მიერ აღმოჩენილი, მარამ ეს ბინა მაშინ დათმობილ იქნა უფრო საპატიო პიროვნებისათვის და მე დროებით მომაცდევინეს.

ხელ მეორეთ აღმოვაჩინე ბინა რომელიც საბინაო განყოფილებამ კიდეც აიღო მის ანგარიშზე) ჩემზე გადმოსაცემათ, მაგრამ სახლის პატრონმა ეს ბინა ჯადოსნურათ სხვას გადასცა.

მესამე თხოვნაში საბინავო განყოფილების მიმართ აღვნიშნე, რომ ერთ ქუჩაზე ღრმათ მოხუცებულ რუსის ქალს მარტო უპირავს ოთხი ოთახი, რომლებიც თითქმის ყოველთვის დაკეტილი აქვს, რადგანაც თითონ ეს ქალი მეტი ნაწილი თავის შვილებთან ცხოვრობს აქვე თფლისში-თქო, ვთხოვე ჩამორთმეოდა მას ჩემთვის სამი ოთახი, მაგრამ ეს თხოვნა არ დაკმაყოფილდა.

მეოთხედ აღმოჩენილ ბინაზე ხომ ახლოს არ გამიკარეს და ასე ვრჩები ამ ზამთარს უბინაოთ, რადგანაც ბინას აჩენს მხოლოდ „ოტსტუპნოი“ ორმოცი ათასი მანეთი.

უკანასკნელი ოთხი თვე ვცხოვრობ ერთ პატარა ოთახში, რომელიც დროებით დამითმო ჯარში გაწვეულმა ნაცნობმა სტუდენტმა, მაგრამ ისიც დაბრუნდება და მე კი უბინაოთ დავრჩები.

ნუ თუ ასე მოუწესრიგებელი უნდა დარჩეს ეს მნიშვნელოვანი საკითხი?

**დრ. რედაქტორი: დიმიტრი ჯორბენაძე.**